№ 18 — 1877—1898 — № 18

კვირა, 25 იანვარი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227


**ალექსანდრე მირიანის ძე და ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ჭყონიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის—პირველის მამისა და მეორესი მამამთილისა

## მირიან ბექანის ძის ჭყონიასი

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში 25 იანვარს, დილის 10 საათზე.

**ნადეჟდა ალექსანდრეს ასული და ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის—პირველის დედისა და მეორესი სიდედრის

## ეკატერინე ათანასეს ასულის შერვაშიძისა ფარდნაძის

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში 25 იანვარს, დილის 10 საათზე.

**ქვრივი მარიამ ნიკოლოოზის ასული კნეინა ჯამბაკურ-ორბელიანისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ განსვენებულის თავისის ქმრის

## თავად ალექსანდრე ესტატეს ძის ჯამბაკურ-ორბელიანის

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება ორშაბათს, 26 იანვარს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.
(1—11—1)

**კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის კრებული** უმორჩილესად სთხოვს ამავე ეკკლესიის მრევლს, მიიღონ შრომა და მობრძანდნენ **კვირას, 25 იანვარს,** ამავე ეკკლესიის ახალ **მნათეს—სტაროსტას ამოსარჩევად.** აწ მყოფს მნათეს გაუთავდა ვადა. ამორჩევა მოხდება ეკკლესიაში **შუადღის 12 საათზედ.**

ბლაღ. მღ. სოლ. შოშიაშვილი
(2—9—2)


## ქართული თეატრი

კვირას, 25 იანვარს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. და დავ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

### ბაგრატ IV

ისტ. დრამა 4 მოქმ., კ. მესხისა

II

### ადამ და ევა

კომედ. 2 მოქმედ., თარგმ. დ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარელისა, გარელი. ბ-ნნი აბაშიძე, დ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **კ. მესხი.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)


ტფილისი, 24 იანვარი

მას აქედ, რაც ბერძენთა და ოსმალთა შორის გათავდა ომი და ავად თუ კარგად მეომარნი შეარიგა ერთმანეთს ევროპამ, ყველას ეგონა, რომ ევროპის სახელმწიფონი, ნამეტნავად საფრანგეთი და მის გამო რუსეთი, ფეხზედ წამოაყენებენ ეგვიპტის საქმეს. ეს ფეხზე წამოყენება ეგვიპტის საქმისა მარტო ინგლისისათვის არის არა სასურველი და ფრიად განსაცდელიანი, იმიტომ-რომ ინგლისი დღეს მარტო ჰბატონობს ეგვიპტეში და დიდად ურჩობს ეს ბატონობა გაუზიაროს ვისმე. ეგვიპტის საქმის წამოყენება-კი სწორედ იმისი მომასწავებელია, რომ ან ინგლისი უნდა გამოვიდეს ეგვიპტიდამ, ან როგორმე დააკმაყოფილოს საფრანგეთი, რომელსაც საკუთარი ინტერესები ნებას არ აძლევენ ეგვიპტეში პირველობა და უპირატესობა დაუთმოს ინგლისსა. ინგლისსა და საფრანგეთ შორის ერთი უდიდესი მიზეზი უთანხმოებისა და უსიამოვნოებისა ეგვიპტე არის. ამიტომ ყველანი მოელოდნენ, რომ, რაკი ევროპა მოიცლის და ეგრედ წოდებული აღმოსავლეთის საქმე, ბერძენ-ისაგან ატეხილი, ევროპაში დაშოშმინდება, ეგვიპტის საქმე გაიღვიძებსო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ევროპას სხვა სატკივარი გაუჩნდა, ევროპამ ჩინეთისაკენ მიიხედა და ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა იქ შეიკრა.

ამ სახით ახლო-აღმოსავლეთის საქმე შორ-აღმოსავლეთზე მიიმართა. ევროპა ჰხედავს ჩინეთის სისუსტეს, „სნეულ კაცად" ეხლა ჩინეთი გადაიქცა. რადგანაც მოსალოდნელია, რომ ეს უზარმაზარი შორ-აღმოსავლეთის სახელმწიფო თვისმა სისუს-

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

მომივიდა შენი წიგნი,
ტურფავ, შენგან დანაწერი,
სული, გული და გონება,
მის წაკითხვით ანაძგერი—
სამნივ შენთან გამოფრინდნენ,
ფრთები ასხავთ ვარდის ფერი,
მოვლენ და გაგეშლებიან
ფეხ-ქვეშ, ვითა მიწა-მტვერი.

დ. მაჩხანელი

### საერო მუზეუმი და მისთვის შენობის აგების საჭიროება

საზოგადოდ ქართველებმა არაფერი ვიცით ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, არ ვიცით, რა სწავლისა და ცოდნის პატრონები იყვნენ ჩვენი წინაპრები, რაგვარად სცხოვრობდნენ შინაოჯახში, რა ხელოვნებისა და ხელობის მცოდნენი იყვნენ, რანაირად იცვამდნენ და იხურავდნენ, რანაირი წეს-წყობილება, კანონები და სამართალი იყო ჩვენს სახელმწიფოში, რა უფლება ჰქონდათ მეფეებს, თავად-აზნაურთა და გლეხკაცთ და სხვანი. არა ვიცით-რა ამისა და სხვა უცხო ხალხთ ხომ უფრო ნაკლები იციან. იმათ ჰგონიათ, რომ ქართველი ისეთივე დაბალის განვითარების ხალხია, როგორც კავკასიის სხვა, უკან ჩამორჩენილი აზიის ხალხები; არავითარს ღირსებას არ ჰპოვებენ ისინი ჩვენში, როგორც ცალკე ეროვნებაში და გვთვლიან გონებრივ უსუსურ ხალხად, რომელსაც არა აქვს ვითომ განვითარებისა და წინ-სვლის ნიჭი. ასეთისავე დაბალის აზრისანი არიან ჩვენის ენის შესახებ, რომელიც იმათ მეტად ღარიბად და განუვითარებლად მიაჩნიათ. ერთის სიტყვით, ჩვენი ერი უძლურ ხალხად მიაჩნიათ, რომელსაც ვითომ არც წარსულში გამოუჩენია სწავლა-ცოდნის, ხელოვნებისა და საზოგადოდ ცხოვრების უნარი და რომელსაც ვითომ არც მომავალში შეეძლოს იჩინოს ასეთი უნარი. ამისთანა შეხედულობას ჩვენის ერის რაობასა და ვინაობაზედ ის სამწუხარო და მავნებელი შედეგი მოსდევს, რომ დარწმუნებულნი არიან ყველანი, ვითომ ქართველობა გადაგვარების გზას ადგეს და ჰქრებოდეს.

მაგრამ ამისთანა დასკვნისაგან შორს არიან ისინი, ვინც რაოდენადმე ჩახედულია ჩვენს წარსულს ცხოვრებაში და ვისაც შესწავლილი აქვს მისი ნაშთები, რომელიც სრულიად სხვასა ჰლაპარაკობს. ვინც ცოტაოდნადაც არის გაცნობილი ჩვენს ისტორიას, ენას, მწერლობას, არქეოლოგიას, კანონ-მდებლობას, ისინი აუცილებლად იმ აზრს დასდგომიან, რომ ქართველები შესამჩნევის ნიჭისა, ხასიათისა და ცხოვრების უნარის პატრონები ყოფილან; რომ იმათ შესძლებიათ თავიანთ მცირე-რიცხოვანი ეროვნება დაეცვათ აუარებელ მტერთაგან; რომ შეუქმნიათ მდიდარი და განვითარებული ენა, რომელზედაც უწერიათ და უთარგმნიათ სხვა ენებიდგან ბლომად სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნები: სამეცნიერონი, სალიტერატურონი, საფილოსოფოსონი თუ სღვთის-მეტყველონი; რომ შესამჩნევი გემო და ხერხი გამოუჩენიათ ხუროთ-მოძღვრებასა და მხატვრობაში; რომ დროს შესაფერი წეს-წყობილება და კანონმდებლობა ჰქონიათ.

როდესაც უფრო დაწვრილებით და ზედმიწევნით იქნება შესწავლილი და გამოკვლეული ჩვენი წარსული, უეჭველია, უფრო მეტი საბუთები გამოჩნდება იმის დამამტკიცებლად, რომ ქართველობა წარსულში ღირს შესამჩნევი ერი ყოფილა. ხოლო ასეთი შესწავლა ჩვენის წარსულისა მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ჩვენის წარსულის ნაშთები, რომლებშიაც გამოიხატება ჩვენთა წინაპართა ცხოვრება, სწავლა-მეცნიერება, ხელოვნება, სახელმწიფო წეს-წყობილება, სამართალი და სხვანი, შეგროვდება და ხელ-მისაწვდომი გახდება ყველასათვის, ვისაც იმათი შესწავლა უნდა. თუ აქამდე არ არის კარგად გამოკვლეული ჩვენი წარსული, ეს იმიტომ, რომ წარსულის ნაშთები არ არის ჯერ კიდევ შეგროვილი და ხელ-მისაწვდომი. იგი გაფანტულია მთელს საქართველოში და ხშირად ეკუთვნის იმისთანათ, რომელთაც არ იციან იმათი ღირსება და მნიშვნელობა. ამნაირ ნაშთთა რიცხვს ეკუთვნის: ნაწერები (წიგნები, სიგელ-გუჯრები და სხვა-და-სხვა წარწერანი ხატებსა, კედლებსა და სხვა რაზედმე), ნახატები (ტილოსა, ლითონსა, ხესა, თუ კედლებზედ), ყოველნაირი ჭურჭელი, აბჯარი და იარაღი, რომელიც ხშირად მიწაშია დამარხული, ციხეები, კოშკები და სხვა შენობანი, რომელთა გადახატვასა და აწერას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით მათ შენახვას დაუნგრევლად, წინანდელი ფული და სხვანი. ამ დასახელებულ ნივთიერ ნაშთთ უნდა დაემატოს სიტყვიერი ნაშთები: მაგალ., სხვა-და-სხვა გარმოცემანი, ლექსები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და სხვა. აი ყველა ამ დასახელებულის ნაშთის შეკრება არის აუცილებელი პირობა წარსულის შესწავლისათვის. შეკრება მათი არამც თუ საჭიროა, არამედ საშურიც არის, რადგან რაც დრო გადის, მით უფრო კლებულობს იმათი რიცხვი, ნაშთები იკარგება, ფუჭდება და სამუდამოდ იღუპება.

ამ ბოლოს დრომდე ჩვენ, ქართველები, დიდად არ ვაფასებდით ამისთანა ნაშთებს და არა ვზრუნავდით იმათის ერთად შეკროვებისა და შენახვისათვის. მხოლოდ ამ თხუთმეტიოდე წლის წინად შეუდგა ამ საქმეს ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", დაუწყო მოგროვება უმთავრესად ნაწერს ნაშთებს, თუმცა არც სხვა ნაშთების მოგროვებას ერიდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან მოაგროვა, ზოგი თვისის მეცადინეობითა და ზოგიც შეგნებულ ქართველთა გულ-უხვობის წყალობით, 2.000-ზედ მეტი მხოლოდ ძველი ხელთ-ნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი, კარგა ბლომად სიგელ-გუჯრები, აგრეთვე ბლომად ძველი ფულები და რამდენიმე ხატი, ჭურჭელი, აბჯარი და იარაღი, რომელიც დღეს ყველასთვის ხელ-მისაწვდომია შესასწავლად.

იმის წარმოსადგენად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხსენებულის ნაშთების შეგროვებასა და შესწავლას, ერთს მაგალითს დავასახელებ. უკანასკნელ ხანამდე თითქმის ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს მატიანეთა კრებული, „ქართლის ცხოვრება" შედგენილი იყო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მეფის დროს. ზოგიერთნი უცხო მეცნიერნი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ეს „ქართლის ცხოვრება" არამც თუ შედგენილი, არამედ შე-

ტემ და უძლურებამ თან გადაიტანოს, ყველას უნდა წინადვე როგორმე ფეხ-მოსაკიდებელი ადგილი დაიჭიროს ჩინეთში, რომ, როცა დრო მოვა, ახლო იყოს დიდი ლუკმა თვითონ მოითალოს და სხვამ არ დაასწროს. გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია ეხლა იმის ცდაში არიან, რომ იქ, ჩინეთის საზღვრებზე ზღვიდამ ჩინეთში შესავალი ადგილი ხელთ იგდონ ყოველ ანაზდეულად მოსალოდნელ შემთხვევისათვის. აბა უზარმაზარი, მაგრამ უღონო ჩინეთი რას გაუძლებს ამათს ზედ-მოსევას და სხვა არა დარჩენია-რა, რომ ყველას დღესვე საკმაო ლუკმა მიაწოდოს. სწორედ ესე იქცევა დღეს ჩინეთი, მაგრამ თუ აბრკოლებს რამ, ისევ ის, რომ ზედ-მისეულ სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის ჰშურთ ყოველივე, რასაც ძალა-მიხდილი ჩინეთი ძალაუნებურად აწვდის, ოღონდ დამეხსენით და სხვას ნურას წაატანთ ხელსაო.

ამ შურმა და ცილობამ ეხლა ისე გააბა საქმე, რომ, არა გვგონია, ევროპის სახელმწიფოებმა კარგა ხანს-და მოიცალონ ან ეგვიპტისათვის, ან ოსმალეთისა და ერთობ ახლო-აღმოსავლეთის საქმეებისათვის. აქ ახლო-აღმოსავლეთში მარტო ერთი კრიტის კუნძულის საქმე-ღაა ჯერ ხანად ცოტაოდნად თავში საცემი. ევროპას ჯერ გუბერნატორად ვერავინ ამოურჩევია, თუმცა ამბობენ, რომ თითქმის გათავებულია, საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი იქნება კრიტის გუბერნატორად ამორჩეულიო. ეს კრიტის კუნძულის საქმე ჯერ იმის თანა რასმეს არ წარმოადგენს, რომ ამისის ფიქრით ევროპამ ისევ ევროპისაკენ მოიხედოს. ჩვენ აღრევაცა ვთქვით და ახლაც ვამბობთ, რომ თუმცა შიგ ევროპაში აღმოსავლეთის საქმე ჯერ არ გათავებულა და მიძინებულია, მაგრამ შესაძლოა უეცრად იფეთქოს და დიდი ცეცხლი ატყდეს. კიდევ ვიტყვით, კრიტის კუნძულის საქმე ისეთი არ არის, რომ ამის გამო ევროპა ერთმანეთს დაეჯახოს. ეგ წყლულია აღმოსავლეთის საქმისა, მაგრამ ისეთი წყლული, რომ ევროპის დიპლომატია ადვილად უპოვის მალამოს. სულ სხვა ამბავი იქნება, თუ ამ გაზაფხულზე მაკედონიაში არეულობა რამ მოხდა. მაკედონიაში მოსალოდნელი ამბები ევროპის აღმოსავლეთის საქმეს წამოაყენებენ მთელის თავისის სიმწვავითა და იქნება საქმე იქამდე მივიდეს, რომ თოფიც გავარდეს და ზარბაზანმაც დაიჭექოს. მაშინ, თქმა არ უნდა, შორ-აღმოსავლეთის საქმე ახლო-აღმოსავლეთის საქმედ გადაიქცევა და ევროპა იძულებულ იქმნება ჩინეთი მოასვენოს, ვიდრე ხელახლად იმისთვის მოიცლიდეს.

ხოლო საკითხი ეს არის: ვინ ხერხიანობს დღეს ასე, რომ ევროპა შორ-აღმოსავლეთისაკენ გაისტუმრა, იქნება იმ ფიქრით, რომ ერთ-ერთს დიდ სახელმწიფოს იქ, შორს შევატოპინოთ და აქ, ახლო მე და ჩემმა მომხრეებმა მარტო გავიგდოთ ბურთი პოლიტიკის მოედანზედაო? არც ეს არის უადგილო ვიკითხოთ: ვინ არ ასვენებს საფრანგეთსა შინ, რომ იქნება ამ შინაურმა ამბებმა არ მოაცალოს იგი საგარეო საქმეთათვისაო და მე-კი ხელ-გაშლილი დავდიოდეო? ეს დრეიფუსის საქმე იმისთანა რა არის თავის-თავად, რომ ლამის საფრანგეთში ძმათა შორის სისხლი ჩამოაგდოს და ერთი ნახევარი საფრანგეთისა მეორეს დააჯახოს ერთმანეთის საჟლეტად? მართალია, თუ უდანაშაულოდ დასჯილია დრეიფუსი, ამის გამო ხელ-ახლად გადასინჯვა მისის საქმისა მართლ-მსაჯულობის მოვალეობაა, მაგრამ მარტო ამ მხრით ეს საოცარი საქმე ასეთს განგაშს, ასეთს რყევას თითქმის მთელის საფრანგეთისას ვერ გამოიწვევდა. აქ რაღაცა იმალავს თავს, აქ ვიღასიც ძლიერი ხელი ჰმუშაობს. გაუგებარია, რად არის ესე, რომ ერთის მხრით თვითონ საფრანგეთის ბედის გამგებელი მთავრობა ამ გადასინჯვას ასე დაჟინებით არა ჰნდომობს და მეორეს მხრით იმისთანა გამოჩენილნი კაცნი, როგორც ზოლაა, არ ერიდებიან წყევა-კრულვას ერისას და დაჟინებითვე თხოულობენ ხელმეორედ განკითხვას ვითომდა უდანაშაულოდ დასჯილისას. აქ მარტო დრეიფუსის ბედია გათვალწინებული, თუ იგი მარტო მიზეზია, რომ მის გამო საფრანგეთს შინ საქმე გაუმწარონ, შინ დიდი სატკივარი აუჩინონ იმ იმედით, რომ საგარეოდ ველარ მოიცლისო. ვისთვის არის საჭირო ასეთს მდგომარეობაში ჩაყენება საფრანგეთისა, ძნელი გამოსაცნობია და უფრო ძნელი გამოსაცნობია რისთვის უნდათ, რომ საფრანგეთმა საგარეოდ ველარ მოიცალოს იმდენად მაინც, რამოდენადაც იგი სხვისთვის სახარბიელოა?

---

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ დუშეთის მაზრის ქსნის საბოქაულოს ბოქაული, კაპიტანი თავადი შალიკაშვილი—ახალციხის მაზრის უსავლის საბოქაულოს ბოქაულად; ახალციხის მაზრის აწყურის საბოქაულოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, პორუჩიკი თავ. თუმანიშვილი—დუშეთის მაზრის ქსნის საბოქაულოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად; გორის სამაზრო ხაზინის ბუჰალტერის თანაშემწე პანკრატი ქურული—ბათუმის სამაზრო ხაზინაში ბუჰალტერის თანაშემწედ.

---

# ახალი ამბავი

⁂ ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ ბ-ნი გ. გ. ევანგულოვი დამტკიცებულ იქმნა ტფილისის ქალაქის მოურავადაო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმეისტერს, რომ მოსთხოვეთ მოქალაქეთა გამგეობის მამასახლისს ბ-ნ კონიევს და ბუჰგალტერად ნამყოფს ბ-ნ ყორღანოვს პასუხი მოქალაქეთა კისსის ფულის გაფლანგვის შესახებ.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს უმაღლესად ნება დაერთო, რომ საფრანგეთიდგან ამერიკული ფესვებიანი ვაზები გამოიწეროს.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ბეითალი ბ-ნი ვიაჟინიკოვი, რომელიც მკურნალობის საიმპერატორო ინსტიტუტს გამოუგზავნია ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირის შესასწავლად.

⁂ ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებას და იმ კომისიას, რომელიც სახალხო კითხვებსა ჰმართავს, აზრადა აქვთ დააარსონ ტფილისში სახალხო თეატრი და აუდიტორია. ამ აზრის განსახორციელებლად უკვე შესწირეს სხვა-და-სხვა კაცებმა 1,500 მანეთი. განზრახვა აქვთ სათეატრო ადგილი ქალაქსა სთხოვონ.

⁂ 22 იანვარს, კრებაზედ, ქალაქის სამოსწავლო კომისიამ განიხილა მოხსენება ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. კომისიამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ დაარსებულ იქმნას პროგიმნაზია. კომისიას აზრადა აქვს პროგიმნაზიის შესანახად გადასდოს ყოველ წლივ 6,000 მან. რადგანაც ყოველ წლივ სასწავლებლის შენახვას 19,000 მან. დასჭირდება, კომისიამ სწავლის ფასი თითო მოსწავლეზედ 50 მან. დაადგინა, ხოლო სულ სწავლის ფასი კომისიის აზრით 7,500 ან 6,000 მანეთს შეადგენს, ასე რომ ხაზინას მხოლოდ 7,000 მან. გადადება-ღა დასჭირდებაო.

⁂ როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, 22 იანვარს კრება ჰქონდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა იმ კომისიას, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის შემუშავება აქვს ჩაბარებული. კრებას თავმჯდომარეობდა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ. მაიორი ი. ვ. საგინაშვილი, დაესწრნენ კომისიის წევრები გორის მაზრიდგან—გენ.-მაიორ. ქ. ი. მამაცაშვილი და გ. დ. ქურული, თელავისა—თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, სიღნაღისა—თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ტფილისისა—თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკი, ბორჩალოსი გ. ი. ორბელიანი, დუშეთისა—ზ. ზ. გედევანოვი და ა. ი. კობიევი. კომისიამ, მოისმინა რა გ. დ. ქურულის მიერ შედგენილი კომისიის მოხსენება, დამწრე წევრთა ხმის უმეტესობით ერთის ხმის (თავ. გ. ი. ორბელიანისა) წინააღმდეგ დაადგინა დაამტკიცოს და გადასცეს გუბერნიის წინამძღოლს უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენად. გუბერნიის წინამძღოლს აზრადა აქვს ეს მოხსენება მაზრის წინამძღოლთ გაუგზავნოს ადგილობრივ თავად-აზნაურთა გასაცნობადვე, ხოლო საგანგებო კრება მოწვეული იქმნება მარტსა ან აპრილში.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აღძრა ლაპარაკი იმის

---

თხზულიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშია და ამიტომ მისი არაფერი დაიჯერება, როგორც სულ ახალს დროს შეთხზულისაო. „ქართლის ცხოვრება“ რომ უფრო ძველი შედგენილი იყოს, რატომ ძველი ხელთნაწერი არსად მოიპოვებაო? კითხულობდნენ. ამას ასეთის რიხით და გაბედვით იძახდნენ ისინი, რომელთაც არ იცოდნენ არსებობა უფრო ძველის „ქართლის ცხოვრებისა“, ვიდრე არის ვახტანგის რედაქციით შედგენილი „ქართლის ცხოვრება“. ეს უძველესი „ქართლის ცხოვრება“, რომლის არსებობა არც ერთმა მეცნიერმა არ იცოდა, აღმოჩენილ იქმნა სრულიად შემთხვევით „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წყალობით. სხვა ხელთ-ნაწერთ შორის ამ საზოგადოებამ შეიძინა ერთი ხელთ-ნაწერი, რომელიც აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრება“, გადაწერილი მეჩვიდმეტე საუკუნის პირველს ნახევარში მარიამ დედოფლისათვის; ამ ხელთ-ნაწერის აღმოჩენამ სრულიად უარ-ჰყო აზრი იმ მეცნიერთა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქართველების ისტორია შეთხზულია პირველად მეთვრამეტე საუკუნეშიო, და დაამტკიცა ის აზრი, რომ ქართველების მატიანე იწერებოდა იმავე დროს, რა დროს ამბებსაც შეეხებოდა იგი.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთ საცავში შეგროვილის მწერლობის ნაშთების შესწავლა, უეჭველია, ბევრს ისეთს რასმე აღმოაჩენს, რაც ჯერ არავინ იცის და რაიცა დაგვიმტკიცებს ქართულის ენის განვითარებას, ქართულის ლიტერატურის სიმდიდრეს, ქართველების წარმატებულს ცხოვრებას წარსულში, იმის პოლიტიკურს ძალღონეს და ეროვნულს სიცხოველეს. ასეთი შესწავლა შეგროვილის მასალისა ფრიად მაღლა ასწევს უცხოთა თვალში ქართველების ვინაობას, ხოლო ჩვენ, ქართველებს, გაგვითვალისწინებს რა ჩვენს წარსულს, იმედიანად და სასოებით შეგვახედებს მომავლისაკენ და ერთი ათად მეტს სულიერსა და ზნეობრივს ძალას ჩაგვბერს განვითარებისათვის სამეცადინოდ.

წარმოიდგინეთ, რომ ეს ძვირფასი და შესანიშნავი ნაშთები, რომელნიც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აქვს შეგროვილი, ისეთს საშიშს და სახიფათო მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია ერთს უბედურს დღეს სრულიად და ანაზდეულად მოისპოს და გაჰქრეს. ყველაზედ მეტად საშიში და თითქმის ერთად ერთი მტერი ამ ნაშთებისა არის ცეცხლი. საკმარისია საზოგადოების დაუფასებელს წიგნთ-საცავს საიდგანმე ერთი ნაპერწკალი მოხვდეს, რომ სულ გაცაიბუგოს და ხელიდგან წაგვივიდეს ის, რაც ჩვენს წინაპრებს ულვაწნიათ და დაუტოვებიათ ჩვენთვის. ამ წიგნთ საცავთან გაჰქრება ჩვენის ვინაობის ნიშანი, ჩვენის თვით-მყოფობის მოწმობა და ჩვენის საარსებო უფლების საბუთი, რომელთა ხელ-ახლა შექმნა აღარავის შეეძლება. ცეცხლის შიში-კი ძალიან საფიქრებელია. „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავი ახლა მოთავსებულია თავად-აზნაურობის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, რესტორანის მეზობლად. იმის ქვეშ იმყოფება საკაზმავი სახელოსნო, სადაც ამ უკანასკნელს წლებში რამდენჯერმე გაჩნდა ცეცხლი, თეატრი ხომ შარშან თუ შარშან წინ ცოტას გაწყდა ცეცხლმა არ გადაჰბუგა და არ იმსხვერპლა წიგნთ-საცავიც. რესტორანის მეზობლობაც მეტის-მეტად საშიშია, სხვა არა იყოს-რა, საშიში იმითი მაინც არის, რომ ღამის 1 საათამდე ათასი კაცი შედის იქ და გამოდის იქიდგან ხელში პაპიროსის ნამწვით, რომელსაც ხშირად იქვე წიგნთ საცავის დარაბებთან მიაგდებენ ხოლმე.

კაცს რომ თვალწინ წარმოუდგეს წიგნთ-საცავის ასეთი მდგომარეობა, უეჭველია ტანში ჟრუოლა მოუვა და აფიქრებინებს, განა არ შეიძლება, რომ საზოგადოებამ წიგნთ-საცავს მოუპოვოს უშიშარი და უზრუნველი ბინაო. „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ერთს უდიდესს საზრუნავს და დარდს შეადგენს ამ წიგნთ-საცავის ასეთი საშიში მდგომარეობა. იგი ჰფიქრობს რამე ნაირად მოუპოვოს შესაფერი ბინა, მაგრამ რანაირად? ღონისძიება ამის ნებას არ აძლევს.

იქნება სთქვას ვინმე, რომ თუ ქარვასლაში წიგნთ-საცავი საშიშს მდგომარეობაშია, რატომ სხვა სახლში არ უშოვის საზოგადოება ბინასაო. საქმე ის არის, რომ სხვა სახლის დაქირავებით საშიში მდგომარეობა არ მოისპობა. განკერძოებით, საკუთრად წიგნთ-საცავის ბინის შოვნა ან შეუძლებელია სრულიად, ან თუ შესაძლებელი იქმნა, უთუოდ დიდი ქირა დასჭირდება, ყველგან, სადაც უნდა მოთავსდეს წიგნთ-საცავი, თუ განგებ არ იქნება მისთვის შენობა, ცეცხლის შიში მუდამ იქნება, არც ერთი კერძო სახლი არ არის უზრუნველ-ყოფილი ცეცხლისაგან.

ამიტომ საზოგადოების გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ უთუოდ უნდა აშენდეს წიგნთ-საცავისთვის საკუთარი, განცალკევებული შენობა, ყოველგვარად მოწყობილი ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ: რკინის სახურავით, რკინის კარ-ჩარჩოებით, უწვავს ნივთიერების იატაკით და სხვანი. ამისთანა შენობის აგებისათვის-კი საჭიროა ფული, რომ შეძენილ იქნას ადგილი და მერე აშენდეს სახლი, რომელსაც ერქმევა მუზეუმი.

გამგეობას დღევანდლამდე იმედი ჰქონდა ადგილის შეძენისა ამ მუზეუმისთვის და ჰფიქრობდა მხოლოდ ასაშენებლად ფულის შოვნას. ამ იმედით კიდეც გააკეთებინა ორნაირი გეგმა მუზეუმისათვის. ერთის გეგმით მუზეუმი დაჯდებოდა 100,000 მან., მეორე გეგმით 25,000 მან. ქართველების ჯიბისათვის რასაკვირველია უკანასკნელის გეგმით ასაშენებელი უფრო ხელ-მისაწვდენია და იმედიც იყო, რომ ეს ფული ადვილად მოიკრიბებოდა. მაგრამ საზოგადოებას მიწის შოვნის იმედი დაეკარგა და დღეს საჭირო შეიქმნა იმდენი ფული, რამდენიც დასჭირდება მიწის შეძენასა და ზედ შენობის აგებას.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას მიღებული აქვს სხვა-და სხვა დროს სხვა-და-სხვა ქართველის მწერალის სახელობაზედ შეგროვილი თანხები. ამ თანხების დანიშნულება ის არის, რომ საუკუნოდ სახსენებელ იქმნან ქართველი მწერლები. ყველაზედ მეტი ფული (2,451 მ) შეგროვილია დ. ბაქრაძის სახელობაზედ, ხოლო დანარჩენთ მწერალთ სახელზედ პატარ-პატარა თანხებია (19 მანეთიდგან 1200 მანეთამდე). ჩვეულებრივ მიღებულია, რომ რომლისამე მოღვაწის სახსენებლად სდგამენ იმის საფლავზე, ან სადმე გამოსაჩენს ადგილას იმისს ძეგლს. საზოგადოებაც რომ ამ ჩვეულებისამებრ მოქცეულიყო, მხოლოდ ბაქრაძისათვის თუ მოახერხებდა რაოდენადმე ღირსეულის ძეგლის დადგმას, სხვებს-კი იმათ სახელობაზე შეგროვილის ფულით არავითარი რიგიანი ძეგლი არ დაედგმებოდა. ჯერ კიდევ ამ რვა წლის წინად დ.

შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ, გამართოს სამეტოქეო გამოფენანი, და დააჯილდოვოს ის მეაბრეშუმენი, რომელნიც კარგს აბრეშუმის პარკებს მოამზადებენ და კარგი თუთის ხეები ექმნება. საზოგადოებამ დაასახელა კიდეც სად უნდა მოხდეს ეს კონკურსები: ქუთაისის გუბერნიაში—დ. ხონსა და სოფ. ლანჩხუთში, ზაქათალის ოლქში—ქ. ზაქათალაში და აგრეთვე კავკასიის სხვა გუბერნიებში. ამასთან საზოგადოება შუამდგომლობს, რომ სამინისტრომ დაუნიშნოს საჩუქრები საუკეთესო მეაბრეშუმეთ.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ აქაური თამბაქოს მოვაჭრენი ძლიერ ბევრსა ჰყიდულობენ და კიდეც ასაღებენ კავკასიაში მოყვანილ თამბაქოს, რადგან ოსმალეთის თამბაქოს არაფრით არ ჩამორჩება ღირსებითაო. თუ რამოდენა თამბაქოს ასაღებენ, იქიდგან სჩანს, რომ პეტერბურგის ერთი ვაჭარი მუდამ წელს 40,000 ფუთს თამბაქოს იბარებს კავკასიიდგანაო.

⁂ გაზ. „СВѢТЪ“-ი სწერს, რომ კავკასიის საზღვრებზედ დაბანაკებულ დარაჯთა შესანახ ხარჯის დასაფარავად ხაზინამ 162,253 მან. გადასდო და განზრახვა აქვს 407,111 მან. კიდევ გადასდოსო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, აზრადა აქვთ ტფილისში საქციო საზოგადოება შეადგინონ ჩითეულობის საქსოვ ქარხნის დასაარსებლად. საზოგადოების თანხა 1,500,000 მან. იქმნება. დამაარსებლად ბაქოს კაპიტალისტები და ტფილისის მდიდარი მოვაჭრეები არიანო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, სომეხთა კათოლიკოსი თებერვლის პირველ რიცხვებში ბაქოში აპირებს წასვლას.

⁂ ქუთაისსა და ონს შუა გზა გასწმინდეს და ეტლების მისვლა-მოსვლა უკვე დაიწყო.

⁂ გაზ. „კავკას“-ს სწერენ, რომ 18 იანვარს, გორის მაზრაში, გზაზედ, ჰნახეს გაყინული ტყვიავის მცხოვრებელი კუკური ქარელი და ხელთუბნის მცხოვრებელი—ზაქარია თვალიაშვილი.

⁂ 23 იანვარს, საღამოს 10 საათზედ, მე-2 ნაწილის პოლიციელმა ლაბორატორიის ქუჩაზედ ახლად-დაბადებული ბავშვი იპოვა, რომელიც მაშინვე საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ 20 იანვარს, ფერისცვალების მონასტრის მესენაკემ თევდორე კუზნეცოვმა გამოუცხადა მე-7 ნაწილის ბოქაულს, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა 10 მან. ღირებული ვერცხლის საათი მომპარაო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

22 იანვარს, საღამოს 6 საათზედ, მე 2 ხევის ქუჩაზედ, თეთრაძის მდგმურის აბესალომ ხევსურიანის სახლიდგან მოსამსახურემ ნატალია საბაშვილმა მოიპარა 60 მან. და საცალა მიიმალა. საბაშვილს პოლიცია დაეძებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კასპი** (ქართლი), 17 იანვარი. დიდი ხანია კასპელებს არ უნახავთ ასეთი მკაცრი ზამთარი. პირველ ქრისტეშობისთვიდგან დაწყებული კასპიდგან სოფელ ჭალამდის, რომელიც ათის ვერსის მანძილზედ იმყოფება, მარხილის გზაა, რომელსაც არც ერთი მოხუცი კასპელი არ არის მომსწრე და ამიტომ არც ერთ კასპელს გლეხ-კაცს თავის დღეში არა ჰქონია მარხილი. კასპელებს არა აქვთ მახლობლად ტყე, საამილახვრო ტყის გარდა, რომელიც მდებარებს სოფელ ჭალის მახლობლად და რადგან ამ ჟამათ ზამთრის გამო იმ ტყემდის ურმის გზა არ არის, შეშა, ფიჩხი ძალიან დაუძვირდათ. დიდის ყინვებისა გამო კასპში კაკე ვენახებში ვაზი ძალიან გაფუჭდა, მხოლოდ ჯერჯერობით ფერდო ვენახების ვაზია გადარჩენილი; ამას შემდეგ თუ ყინვებმა არ იკლო, ფერდო ვენახებზედაც უნდა კასპელებმა ხელი აიღონ. აგერ ხუთი წელიწადია, რაც კასპელებს ხეირიანი რთველი არ მოსვლიათ. წელს რა-კი შემოდგომითვე ვაზს კარგი რქა ჰქონდა და იმედიც ჰქონდათ კარგი რთველისა, გლეხთა სასოფლო ყრილობაზედ გარდასწყვიტეს ეყიდნათ რამდენიმე მანქანა ვერმორელისა სასოფლოდ და ჭვამლით ვაზისთვის, რადგან აშკარად დაინახეს ვაზის ავადმყოფობა და საჭიროება წამლობისა. ეხლა-კი კაკე ვენახის პატრონი, რომ შედის თავისს ვენახში და ჰხედავს ყინვისაგან გაფუჭებულს ვაზს, გულ-დაწყვეტილი ოხრავს და, რასაკვირველია, იმედიც ეკარგება.

ამდენ მწუხარებასთან შინაურ ქურდ ბაცაცებმა შარშანდელივით შეუწყეს ხელი საქათმეებსა და მარნებს. შარშან ზამთარს არ გადარჩენილა გლეხ-კაცი, რომლისთვისაც არ გაეტეხნათ საქათმე ანუ მარანი. რადგან ეჭვი ყველას ჰქონდათ ოს მეცხვარეზედ, ამიტომ წელს დაიბარეს ყველა ოსი-მეცხვარე, ვისაც ზამთრობით სოფელ კასპში ცხვარი უყენია (სოფელ კასპში და მის მახლობლად ოცი ათასი სული მეტი ცხვარი დგება) და ხელი მოაწერინეს: ვისაც ქურდობა შეემჩნევა, ოცი თუმანი უნდა გარდაიხადოს სოფლის სასარგებლოდ და სისხლის სამართალშიაც იქნება, რასაკვირველია, მიცემული. წელს დღევანდლამდის კასპში მშვიდობიანობა იყო, მხოლოდ გუშინ ღამე ქურდებმა თავი იჩინეს: თედო გზირიშვილის მარნიდგან მოიპარეს ერთი კოკა ღვინო, ნახევარი კოდი ლობიო და მატყლი, გიორგი მამპარაშვილის საქათმიდგან მოიპარეს რვა ქათამი და ორი ბატი, სოლომონა მამპარაშვილის საქათმიდგან—ცხრა ქათამი და სამი ბატი, პეტრე ავალიშვილისაგან—ექვსი ქათამი და ოთხი ბატი, განო ყუზანოვის საქათმიდგან—შვიდი ქათამი, ამისავე ოთახი გატეხეს და წაიღეს სხვა-და-სხვა ავეჯი და ხილი; აგრეთვე გატეხა მარანი განო შავლეგაშვილისა და წაიღეს ღვინო და ყურძენი. საკვირველი ის არის, რომ ეს ქურდობა სულ ერთ ღამეს მოხდა. თუმცა კასპელებს ეჭვი ამ ქურდობისა ოს-მეცხვარეებზედ აქვთ, მაგრამ თუ შინაური არავინ ურევია, შეუძლებელია. საჭირო არის ადგილობრივ ბოქაულმა მოიხმაროს რაიმე ღონისძიება, რათა აღმოაჩინოს ამ ქურდობის ნამდვილნი ვაჟ-ბატონები.

გუშინ დასრულდა მდ. ლეხურაზედ დიდის ხიდის შეკეთება. ეს ხიდი პატივცემულმა თ. ივანე გივის ძე ამილახვარმა თავისის ხარჯით გააკეთებინა.

11 ამ თვისას სოფელ კასპის წმ. თეოდორე ტირონელის ეკკლესიის მღვდელმა გრიგოლ ბერიევმა გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი დიდებულის გმირის მეფე ერეკლის მეორის სულის მოსახსენებლად. ხალხი მრავალი დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ კასპის სკოლის მასწავლებელმა ბ. მიხეილ გიორგაძემ მიიწვია გლეხ-კაცობა სკოლის დარბაზში და წაუკითხა ისტორიული მოთხრობა მეფე ირაკლი მეორეზედ; ხალხი გულ-მოდგინეთ უგდებდა ყურს და დიდად ნასიამოვნები დარჩა.

სხვათა შორის არ შემიძლია არა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ „ივერიის“ მე-5 ნომერში იყო გადმობეჭდილი გაზეთ „კავკასი“-დგან: ვითომ რაც სოფელ კასპში და რკინის გზის სადგურზედ დუქნები იყო, სოფლის განაჩენის ძალით დაკეტილ იქმნა და დუქნის გაღების ნება ეძლევა ერთს, რომელმაც უნდა გარდაიხადოს 3,000 მანეთი სოფლის სასარგებლოთ და ყოველივე საქონელი უნდა ჰყიდოს ნიხრზედ სოფლის ამორჩეულის კომისიისგან დაწესებულის ნიხრით. ეს ცნობა ტყუილია, აი ნამდვილი ამ საქმის შესახებ: მართალია სოფელ კასპმა მოახდინა სასოფლო ყრილობა და დაადგინა შემდეგი განაჩენი: აკრძალოს ვაჭრობა სოფელ კასპში, აგრეთვე რკინის გზის სადგურზედ ყველა იმათ, ვისაც წარსულს წელიწადს ჰქონდათ დუქნები, მიენდოს ამავე ყრილობაში შემდგარ კომისიას მონახოს კეთილსინდისიერი ვაჭარი და მისცეს ნება გაადოს დუქანი სოფელ კასპში, იქონიოს ამ დუქანში ყოველივე საქონელი, რაც მცხოვრებლებთათვის საჭირო იქნება, და ეს საქონელი გაჰყიდოს ამ კომისიისაგან დაწესებულ ნიხრით. თუმცა ეს განაჩენი წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს, მაგრამ ბევრი დასაბრკოლებელი მიზეზი მიეცა და შესრულებაში ვერ მოიყვანეს.

პირველი მიზეზი ის იყო, რომ რაც რკინის გზის სადგურზედ დუქნები არის, სულ მებატონეების მამულზეა, რომლებსაც რამდენიმე წლობით უკვე იჯარით გაცემული აქვთ; მეორე—რაც სოფელში მეწვრილმანეების დუქნებია, ვაჭრობის მოწმობა უკვე აღებული ჰქონდათ, რადგან ამ მოწმობას სოფლის ნება დაურთველათ აძლევენ ხოლმე და ამიტომ ვაჭრობაც ვერ აკრძალეს. რადგან პირველი განაჩენი ვერ შეუსრულდა სოფელს, ამიტომ მეორე ყრილობა მოახდინეს; მოიწვიეს ამ ყრილობაზედ მედუქნეები, რომლებსაც რკინის გზის სადგურზედ დუქნები აქვთ და შეაწერეს ამათ რვა თუმანი სოფლის სასარგებლოდ. ამავე ყრილობაზედ გადასწყვიტეს: მიეცეს ნება პეტრე ჭელიძეს გაადოს სოფელ კასპში დუქანი, ყოველივე საქონელი ჰყიდოს კომისიისაგან დაწესებულ ნიხრით და სოფლის სასარგებლოდ გარდაიხადოს 230 მანეთი. ამ პეტრე ჭე-

---

ბაქრაძის პატივის-მცემლებმა, რომელთა შორის ბევრი შემომწირველიც ერია მის თანხის სასარგებლოდ, გადასწყვიტეს, რომ ყველაზედ უკეთესი და უფრო სასიამოვნო თვით განსვენებულისათვის ის იქნებოდა, რომ მის სახსოვრად შეგროვილი ფული მოჰხმარდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მუზეუმის აშენებას იმ ნაშთთა დასაცველად, რომელთაც განსვენებული ყველაზედ მეტად აფასებდა, რომელთა შესწავლით მან მოიხვეჭა სახელი და რომელთა შესწავლა და გამოკვლევა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა საქართველოს ისტორიის დაწერისათვისაო. ასეთი გარდაწყვეტილება სიამოვნებით მიიღეს თვით განსვენებულის განათლებულმა ჭირის უფლებმაც და სცნეს, რომ ასეთი მოხმარება ამ თანხისა საუკეთესო ძეგლის დადგმა იქნებაო! რაკი ბაქრაძის თანხას ასეთი დანიშნულება მიეცა, საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა სხვა მწერალთა თანხებისათვისაც ასეთი დანიშნულება მიეცა და ამნაირად სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეთა სახელი შეეერთებინა სალიტერატურო და სამეცნიერო განძთა დასაცველად აგებულ ბინასთან, რომელიც მათი საზოგადო ძეგლი იქნება და სადაც მათი სახელი აღბეჭდილი იქნება წაუშლელის ასოებით, მაგრამ ეს თანხები ერთად რომ ავიღოთ (სახელდობრ 6300 მან.) მუზეუმის აგებისათვის საჭირო თანხასთან შედარებით ძალიან ცოტაა. ამიტომ ყველას, ვისაც-კი ესმის მუზეუმის მნიშვნელობა, მოვალეობას შეადგენს ამ თანხის შემატებისათვის ზრუნვა და მეცადინეობა.

აი, სწორედ ამ ზრუნვამა და მეცადინეობამ აფიქრებინა თ. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის წევრთ დაედგინათ, რომ თუ რამე გადარჩებოდა ხსენებულის იუბილეს სადღესასწაულოდ შეგროვილს თანხას, იგი გადადებულიყო მუზეუმის ასაშენებელის თანხის გასაძლიერებლად. ამაზედ უკეთესს, ამაზედ უფრო შეფერებულს დანიშნულებას ვერ მისცემდა კაცი ამ დღესასწაულისაგან გადარჩენილს ფულს.

თუმცა ეს ასეა, მაინც გამოჩნდნენ იმისთანანი, რომელთაც მუზეუმის აშენებას არჩიეს შემთხვევით შემოსული ფული მოეხმარებინათ ილია ჭავჭავაძისავე თხზულებათა სახალხოდ გამოსაცემად, სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად, ან დედათა სკოლის თანხის შესამატებლად. ყოველივე ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ გაზეთის საშუალებით საჯაროდ ეს საქმეები უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ ჩასთვალეს, ვიდრე მუზეუმის აშენება. ჭავჭავაძის ნაწერები თუ იმ ფულით არ გამოიცა, უთუოდ გამოიცემა სხვა საშუალებით: რომელიმე კერძო ადამიანი სიამოვნებით იკისრებს იმათ გამოცემას, რადგან იგი სასარგებლო და ხელ-მისაცემიც იქნება. ლიტერატორთა ნივთიერი უზრუნველ-ყოფა კარგია, მაგრამ იმაზედ წინად საზრუნავია უზრუნველ-ყოფა იმ ლიტერატურის ნაშთთა, რომელნიც ათასის წლის ნაყოფია და რომელთა ხელ-აღებით განადგურება საშიშია, ვიდრე ცეცხლისგან უზრუნველ-მყოფელი ბინა არ მიეცემათ. ან რომელი ქართველი ლიტერატორი მიიღებს თავისს სასარგებლოდ იმ ფულს, რომელსაც შეუძლიან-დაცვა ჩვენთა წინაპართა ლიტერატურულის ნაშთისა საუკუნოდ დაკარგვისა და დაღუპვისაგან? ვის შეუძლიან სთქვას, რომ ათის წლის ადრე დაარსება რომელისამე საშუალო სასწავლებლისა უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე ცეცხლისაგან გადარჩენა ყველა იმისი, რაც შეადგენს ჩვენის წარსულის სწავლა-ცოდნისა და ცხოვრების ნაყოფს. საგანი ამნაირად არის წამოყენებული, რადგან მუზეუმის აშენება მარტო შენობის აგებას-კი არა ჰნიშნავს, არამედ მუზეუმში სამყოფელის ნივთების ცეცხლისაგან გადარჩენას და, რა-კი ასეა, ამას იქით ასე უნდა იკითხონ ხოლმე: რა უფრო საჭიროა და სასარგებლო ჩვენთვის: ჩვენის ძველის მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების და საზოგადოდ ცხოვრების ნაშთთა გადარჩენა ცეცხლისაგან და შენახვა, თუ რამდენისამე წლით, მაგალითად ათის წლით ადრე, სალიტერატურო ფონდის ანუ დედათა სასწავლებლის დაარსება? ნუ-თუ ვისმე შეუძლიან სთქვას: დაიწვას ყოველივე ნაშთი ჩვენის ძველის ცხოვრებისა, ოღონდ კი ათის წლით ადრე გვეღირსოს სალიტერატურო ფონდი, ან დედათა სასწავლებელიო. არა მგონია, რომ ასეთი ბარბაროსი გამოჩნდეს ვინმე მეცხრამეტე საუკუნის დამლევს. მუზეუმის აშენებას თან მოჰყვება არამც თუ ახლა შეგროვილის და ერთად თავ მოყრილის ძველის ნაშთების ცეცხლისაგან გადარჩენა, არამედ ერთს ადგილს შეგროვება იმ ნაშთებისაც, რომლებიც ახლა გაფანტულია აქეთ-იქით და ინახება კერძო სახლებში და ამის გამო ხელმიუწვდენელია მეცნიერთათვის. რაკი მუზეუმი იქნება აშენებული, ცეცხლისა და ყოველის საშიშრებისგან უზრუნველ-ყოფილი, ყოველი შეგნებული ქართველი, როგორც ზოგიერთნი ახლაც სჩადიან, არ დაიშურებს გადმოსცეს მუზეუმს დასაცველად მის ხელთ მყოფი ძველი წიგნები იქნება, სიგელ-გუჯრები, ფული თუ სხვა რამე არქეოლოგიური ნივთი. ამას გარდა, ნურავინ იფიქრებს, რომ მუზეუმში მარტო წარსულის მწერლობისა, ხელოვნებისა და ცხოვრების ნაშთები უნდა ინახებოდეს. არა, წარსულის ნაშთებთან იქ შეინახება სამუდამოდ დასაცველად ყოველი ნიმუში ეხლანდელის ჩვენის მწერლობისა და ხელოვნებისა და ყოველი ნაწარმოები ეხლანდელის ჩვენის ცხოვრებისა, რომელსაც-კი რაიმე მნიშვნელობა ექნება, ასე რომ მუზეუმში შესაძლებელი იქნება შესწავლა და გაცნობა ქართველობისა როგორც წარსულისა, ისე აწმყოსი.

აი, ამისთანა შენობის აგების შესახებ არის ეხლა ლაპარაკი, აი ამისთანა შენობისათვის არის საჭირო ფული. შენიშნულია, რომ ამ უკანასკნელ ხანს ქართველმა საზოგადოებამ შესამჩნევად გამოიფხიზლა და დაუზარებლად სწირავს შეძლებისამებრ თავისს წვლილს ყოველის კეთილის საქმისათვის. რადგან მუზეუმის აშენება ყველა სხვა საჭიროებაზედ მაღლა სდგას, ამიტომ იმედია, რომ ყოველი ქართველი ამოიღებს ჯიბიდგან რამდენის შეძლებაც-კი ექნება, მუზეუმის თანხის გასაძლიერებლად, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ აქვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ორ-სამს წელს იმდენი ფული შეგროვდება, რომ თუ დიდებულის და მშვენიერის შენობის აგება არა, როგორც ჩვეულებრივ აშენებენ მუზეუმებს, სულ უბრალო შენობის აგება მაინც შეიძლებოდეს. ეს შენობა იქნება ძეგლი მთელის ქართველობისა, იგი იქნება საკუთრება არა ერთის რომელისამე საზოგადოებისა, არამედ საზოგადოდ მთელის ერისა და კერძოდ თითოეულის ქართველისა.

დ. კარიჭაშვილი

ლიმეს დუქნის გაღების ნება მისცეს მარტო ერთის წლით, რადგან სამერმისოდ სოფლები, რომლებიც მდებარეობს ლეხურის ხეობაში: კასპი, იქუეთი, სამთავრო, ჭალა, ახალშენა, სკორინთლო, გორაკა, პანტიანი, კაჭე და ბოყანი აპირობენ გახსნან სავაჭრო „ამხანაგობას“. ეს აზრი უეჭველად განხორციელდება, რადგან ამ საქმის სათავეში სდგას ფრიად პატივცემული თ. ივანე გიგისძე ამილახვარი.

გენო—ლახვარი

# რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტრომ ამ დღეებში განმარტა, რომ სამხატვრო სასწავლებლის დაარსების ნებართვის ასაღებად მსურველთ ადგილობრივ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უნდა მიჰმართონ ხოლმე. მზრუნველსავე უნდა წარუდგინონ ხსენებულ სასწავლებლის პროგრამმა განსახილველადა და დასამტკიცებლადო.

— ვორონეჟის განზრახულ სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებისა და მომართვა-მოწყობისათვის ხაზინას 100,000 მან. გადაუდვია.

— უმართებულესმა სენატმა ამ დღეებში განმარტა, რომ სასამართლოს ბოქაულებს ერთსა და იმავე ადგილას სამსახურის აღსასრულებლად რამდენჯერმე მოგზაურობისათვის გზის ხარჯად უნდა მიეცეთ ერთის მოგზაურობის ფული, თუნდა რამდენიმე აღმასრულებელ ფურცლის სისრულეში მოსაყვანად მიდიოდნენო. თუ ბოქაული რამდენისამე კაცისაგან იქმნა მიწვეული ერთსა და იმავე ადგილას, მაშინ ბოქაულის ხვედრი გზის ხარჯი ერთმანეთში თანასწორად უნდა გაიყონ და ისე გარდიხადონო.

# უცხოეთი

—

**იტალია.** მთელს იტალიაში ამ ჟამად დიდი აღელვება და უკმაყოფილებაა. მშიერი ხალხი ქუჩა-ქუჩა დადის და გაიძახის „პური და სამუშაო“ მოგვეცითო, სწორედ ისე, როგორც ძველი რომაელნი იმპერატორების დროს გაიძახოდნენ „პური და გასართობი“ მოგვეცითო. შიმშილობა და ამის გულისთვის აღელვება იტალიაში ხშირი მოვლენაა. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს მცხოვრებელნი არ არიან ისე გაღარიბებულ-გადატაკებულნი, როგორც იტალიის მცხოვრებნი. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ამ მშვენიერ, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ ქვეყნის რომლისამე პროვინციის მცხოვრებთ ხმა მაღლა არ დაიწყონ ყვირილი: „მშიერი ვიხოცებით, პური მოგვეცითო“. ხოლო ამ უკანასკნელ დროს მთელი იტალია გაიძახის ამას, აღელვება და უკმაყოფილება თავდაპირველად, როგორც მუდამ, სიცილიაში დაიწყო. სიცილია იტალიის ერთი უმთავრესი პროვინციათაგანია. ასეთი მდიდარი და ყოვლის მხრით შემკული ქვეყანა, როგორც სიცილიაა, არამც თუ იტალიაში, სხვაგანაც ძნელი საპოვნელია. ბუნებას სწორედ თავისი კალთა იქ დაუბერტყია. მთელი ეს კუნძული (სიცილია კუნძულია) სხვა-და-სხვა მცენარეულის მადნეულობით არის სავსე. ამის მიუხედავად სიცილიის მცხოვრებნი მაინც შიმშილით იხოცებიან და თავიანთ სიცოცხლეს სიღარიბეში ატარებენ. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ მთელი კუნძულის სიმდიდრე რამდენიმე კაცს აქვს დასაკუთრებული და ათასობით მცხოვრებელთა ბედ-იღბალიც იმათ ხელშია. ეს მცხოვრებნი დღე-ღამეებს ბნელს მაღაროებში ატარებენ, ლუკმა პურისთვის განუწყვეტლივ ოფლსა ჰღვრიან და მაინც კუჭს ვერ გაუძღიათ, ისე ცოტას იღებენ გასამრჯელოს. ეს კიდევ არაფერი, რომ ყველას შეეძლოს სამუშაოს შოვნა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უმრავლესობა უმუშაოდ რჩება და მასასადამე ულუკმა-პუროდაც. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ორ წელს, როდესაც, მოუსავლობისა გამო, პურის ფასმა საშინლად აიწია, მათ ცხოვრებისა და თავის რჩენის სახსარი სრულიად გამოელიათ. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მთელი სიცილია ფეხზედ დადგა და ხმა მაღლა დაიწყო ყვირილი მთავრობისა და მდიდართა წინააღმდეგ. ყველგან ქალაქებსა და სოფლებში ამბოხებამ იჩინა თავი. მშიერი ხალხი აღარავისა და აღარაფერს არა ზოგავდა. ბევრი წვალებისა და კაი-ვაგლახის შემდეგ მთავრობამ, ჯარის შემწეობით, მეამბოხენი ჩააჩუმა და სიცილიაში მშვიდობიანობა ჩამოაგდო. მაგრამ ახლა ამბოხებამ და უკმაყოფილებამ თვით იტალიაში, შუაგულ პროვინციებში, იჩინა თავი. ანკონში რამდენიმე დღე საშინელი აღელვება იყო. ბრბომ ტელეფონის მავთულები დაწყვიტა, პურის მაღაზიები და ფურნეები მიანგრ-მოანგრია. სენიგალიაში მშიერმა ხალხმა მდიდარის რუსპოლის პურის მაღაზიები მიწასთან გაასწორა. რუსპოლის მაღაზიები პურით იყო სავსე, ხალხი შიმშილით იხოცებოდა და ის ჯერ კიდევ ინახავდა პურს, ფასი აიწევს და უფრო მეტად გავყიდიო. სხვა ქალაქებსა და სოფლებშიაც, როგორც მაგალ. მარინოსა, ფიამენგსა და სხვ., ასეთივე არეულობაა. ხალხი თხოულობს პურს ფასი დაუკლდით და სამუშაო აღმოგვიჩინეთო. მთავრობამ იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ რომში დააარსა რამდენიმე ფურნე, სადაც პურს უფრო იაფად ჰყიდიან, ვიდრე სხვაგან სადმე. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთის ზომებით საქმეს არაფერი ეშველება. მთავრობამ სხვა საშუალებას უნდა მიჰმართოს და სხვაგვარად მოაწყოს საქმე. პარლამენტიც მხოლოდ ამაზედღა ჰფიქრობს. აზრადა აქვთ ამ ახლო ხანში პარლამენტში შეიტანონ წინადადება, ხორბალსა და ფქვილზედ დადებულის გადასახადის გაუქმების შესახებ. მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, დეპუტატების უმრავლესობა წინააღმდეგია ამ პროექტისა და შეიძლება იგი არ განხორციელდეს. სწორედ ამიტომ რესპუბლიკანელთა, დემოკრატთა და სოციალისტთა კომიტეტებმა გადასწყვიტეს ამ წინადადების განხილვის დროს პარლამენტის წინ დიდი დემონსტრაცია მოახდინონ და მოსთხოვონ პარლამენტს გადასახადის გაუქმება. არც მთავრობასა სძინავს, ისიც დიდს თადარიგშია. ოთხი რაზმი ჯარი უკვე დაიბარა რომში, რომ თუ ვინიცობაა ამბოხება მოხდეს, ჯარი მოახმარონ და იმათ შემწეობით მშვიდობიანობა დაამყარონ.

# დამაკვირდი

ერთისა წამისა გულის ნების პოვნისათვის საუკუნოსა ავგსა და მოუთვინებასა ნუ ჩაიგდებ. ათას წლამდინ გულის ნებისა პოვნა ერთ ავგად არა ღირს, ამით რომელ ჟანგი მისი უკუნისამდინ დააკვდის კაცსა.

ვისრამიანი

* * *

ზნეობისათვის მე ერთი საზომ-საწყაო მაქვს და, ჩემი აზრით, ყველაზედ უკეთესიც: ჩემს ნამოქმედარს, თუ იგი საზოგადოებრივია, კეთილი შედეგი მოჰყვება, თუ ბოროტი ქვეყნისათვის, ვკითხავ ხოლმე ჩემს თავს.

შილერი

* * *

ყელში ლუკმა არ ჩამდის, როდესაც ჩემს ახლო სხვანი მშივრები არიან; მშიერი ძაღლი მებრალება და მშიერი ხალხი, ხომ გულს მიქანჯნის.

რუკკერტი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ცნობილმა მეცნიერმა ჯემს სოუერმა ამას წინად ხალხს წაუკითხა ლექცია ადამიანის ხანგრძლივის სიცოცხლის შესახებ. აქ მოყვანილ საშუალებას რომ წაიკითხავს კაცი, იფიქრებს, ამგვარ წვრილმანებს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ადამიანის ხანგრძლივის სიცოცხლისთვისაო, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რა წვრილმანები გამოიწვევს ხოლმე ადამიანის სიკვდილს. აი ეს დარიგებანი: 1) ადამიანს უნდა ეძინოს დღე-ღამის განმავლობაში 8 საათი; 2) ძილის დროს მარჯვენა გვერდზე იწვეს; 3) საწოლ ოთახის ფანჯარა მთელ ღამეს ღია უნდა იყოს; 4) საწოლ ოთახის კარები დაფარებული უნდა იყოს ჩალის საფენით; 5) ლოგინი კედელზედ არ უნდა იყოს მიკრული; 6) სრულებით არ არის საჭირო ისეთ წყალში ბანაობა, რომელიც ადამიანის სხეულზედ ცივია; 7) საუზმის ჭამის უწინ საჭიროა გიმნასტიკა; 8) რაც შეიძლება ცოტა ხორცი სჭამეთ და ამასთანავე თვალ-ყური მიაქციეთ, რომ ხორცი კარგად იყოს მოხარშული ან შემწვარი; 9) სრულებით ნუ დალევთ რძეს. (სასურველია, ვიცოდეთ, ადუღებული რძეც მავნებელია, თუ არა?); 10) რაც შეიძლება მეტი მსუქანი საჭმელი სჭამეთ; 11) ერიდეთ ისეთს სასმელებს, რომელიც სისხლის მოძრაობას აჩქარებს; 12) ძლიერ კარგია გიმნასტიკა ყოველდღე სუფთა ჰაერზე; 13) არ შეინახოთ ოთახში შინაური პირუტყვი, რადგანაც შეიძლება გადამდები რამ სენი შემოიტანოს; 14) ეცადეთ, თუ შეიძლება, ხმელეთზე იცხოვროთ; 15) მიაქციეთ ხოლმე ყურადღება ამ სამს რასმე: სასმელს წყალს, სინოტივეს და უსუფთაობის არხებს; 16) ეცადეთ, რომ მუშაობა შესცვალოთ ხოლმე; 17) ხშირად და ცოტას ხნობით შეისვენეთ ხოლმე; 18) სახელისა და დიდების მოყვარეობას თავს ნუ მისცემთ; 19) ეცადეთ, რომ ხშირად არ აღელდეთ და არ გაჯავრდეთ ხოლმე. სერ ჯემს სოუერი ამტკიცებს, ყოველივე ეს დარიგება რომ კაცმა შეასრულოს, სრულებით ძნელი არ არის 100 წლამდე იცოცხლოსო. სხვათა შორის ბ-მა სოუერმა ისიც აღნიშნა, რომ უკანასკნელ ორ საუკუნის განმავლობაში სიკვდილი შემცირდა 35 წლამდეო. რაც შეეხება 35 წელს გადაცილებულთ, მათ შორის ეხლა უფრო მეტი იხოცება, ვიდრე ამ ორის საუკუნის წინედაო. სჩანს, ახალგაზდათა შორის ეხლა ნაკლებად იხოცება ხალხი. რაც შეეხება 35 წელს გადაცილებულთ, ის უნდა იქვას, რომ მათ დროს უფრო კარგი პირობანი იყო ცხოვრებისა. მაშინ არა ყოფილა არც ტელეგრაფი, არც ტელეფონი, არც რკინის გზები და არც გაზეთები. მრავალჯერ თქმულა, რომ სანიტარო პირობების განკარგებით ადამიანის სიცოცხლე უფრო ხანგრძლივი შეიქმნებაო, მაგრამ ეს ჯერ დამტკიცებული არ იქმნება. იქმნება რამ გარდაწყვეტით გამოირკვეს, თუ ვინიცობაა ვინმემ 19 წლიდგან დაწყობილი ისე გაატაროს სიცოცხლე, როგორც ნათქვამია ამ 19 დარიგებაში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 იანვარი

**ბომბეი.** უკანასკნელ კვირას შავის ჭირისაგან 927 კაცი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** ოფიციალური მოხსენება. გენერალ ვესტმაკოტის ჯარს შინკარ მარსკის უღელტეხილიდგან უკან დახევის დროს მტერი ტყვიას ესროდა. ინგლისის ჯარში 3 აფიცერი და 8 ჯარის კაცი დაიჭრა; ცხენოსანმა ჯარმა 200 აქლემი ხელთ იგდო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაა. ჟორესმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ დეპუტატ დელკასსთან მიწერ-მოწერის საიდუმლოება არ იქმნა დაცული. დელკასს საზღვაო უწყების ერთმა წარჩინებულმა მოხელემ საბუთის ქაღალდები გაუგზავნა ქ. ტულონში. ბენარმა უპასუხა, რომ სრულიად არაფერი ვიცი ამ ამბის შესახებო. პელტანმა წინადადება შეიტანა, გადაიდოს ფული ზედამხედველთა სამსახურის დასაჯილდოებლად, რომ კონტროლი არ იქმნეს გაუქმებულიო. ლოკრუა და ქერვილლ რუაში მიემხრნენ ერთის მუხლის შეცვლის საქმეს, რომელიც პალატამ შეიწყნარა 263 ხმით 260-ის წინააღმდეგ, თუმცა ბენარი ამტკიცებდა, რომ არც ერთი მოხსენება კონტროლიორთა არ დარჩება პარლამენტის მოუხსენებლადო. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ჯერ არ გათავებულა.

**ნოვგოროდი.** საგუბერნიო საერობო კრებამ, სასურველად სცნორა შემოღება საყოველთაო წერა-კითხვის სწავლება მთელის გუბერნიის მცხოვრებლებისათვის, დაადგინა, რომ ამისათვის საჭირო ფულისთვის დაარსებულ იქმნას საგანგებო თანხა.

24 იანვარი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით კიევის გზათა ოლქის უფროსი ფლორინი დანიშნულ იქმნა კავკასიის გზათა ოლქის უფროსად.

**ხერსონი.** 23 იანვარს ხერსონისა და ტავრიდის გუბერნიების უმიწაწყლო გლეხებმა იყიდეს შტალმეისტერის როდზიანკოსაგან სამ მილიონ მანეთად 22,000 დესეტინა მიწა. მიწა გლეხებმა საგლეხო ბანკის დახმარებით იყიდეს.

**პარიჟი.** პალატაში გამოწვეულ კამათის გამო, ლავერტიუჟონსა და მილერანს შორის დუელი მოხდა. მილერანი ხელში დაიჭრა.

**ვენა.** არეულობის გამო, უნივერსიტეტი, კლინიკის გარდა, გაუქმებულ იქმნა, სლავიანთა სტუდენტებმა უკმაყოფილება განაცხადეს ამ განკათგულების წინააღმდეგ. გაუქმებულ იქმნა აგრეთვე რამდენიმე სხვა უნივერსიტეტიც.

**კალკუტა.** პოლკოვნიკი მენი, რომელსაც მეკრანის ოლქის (ბელუჯისტანსა და სპარსეთის საზღვარზედ) მეამბოხეთა წინააღმდეგ მიდიოდა, ტურბანის გასავალის დასაწყისში შეხვდა მტერს. პოლკოვნიკმა გაჰფანტა მტერი, რომელსაც 100 კაცი მოუკლა, მათ შორი მეთაურებიც. ინგლისელი მოჰკლეს—4 კაცი. დასჭრეს—9.

## „ივერიის“ ფოსტა

**ე. ე—ვიხას.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ახალთიზირელს.** დაგვიანებული ამბავია. თავისს დროზედ რომ შეგვეტყობინებინათ, სიამოვნებით დავბეჭდავდით.

**ი. ბუნ—ძეს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ნაწყვეტი არ დაიბეჭდება.

**ჟიორელს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება,

**თავ. თ. ა—იანს.** არ დაიბეჭდება.

**ხოფ. აკეთი. ა. გ—ის.** არ მიგვიღია.

**ლ. ბ—შვილს.** სოფლის სურათი არ დაიბეჭდება.

**მ. გულ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ა. გ—ნიას.** წერილი ბანძიდგან არ დაიბეჭდება.

**ცხინვალელს დათიკოს.** ჩვენ რამდენიმე წერილი მივიღეთ საგარეჯოს წიგნთსაცავში არსებულ უწესოების შესახებ და თქვენ-კი სულ სხვასა გვწერთ. რომელი დავიჯეროთ?!.

**ბ. ხ—ძეს.** თქვენ მიერ წარმოდგენილი ლექსები არ დაიბეჭდება.

**დ. ახალ-ხენაკი. ჯაკოშიას.** სამი მან. უნდა გამოუგზავნოთ რედაქციას.

## სია

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ იმ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული ქრისტიშობისთვის განმავლობაში 1897 წელსა.

1, ღოღობერიძე დავით ბესარიონის ძე 6 მ.
2, პრელაშვილი სტეფანე . . . 6 მ.

სულ 12 მ.

## სია

იმათი, რომელთაც წარმოადგინეს ყულაბებით შეგროვილი ფული „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ ქრისტიშობისთვის განმავლობაში 1897 წელსა.

1, ერისთავისა კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული . . 12 მ. 28 კ.
2. ელიავა მარიამ ივანეს ასული 20 მ. 69 კ.
3, დ. დოდაშვილმა წარმოადგინა 1 მ. 20 კ.

სულ 34 მ. 17 კ.


# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Января 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.